8420/3-6/22 2 13092022

8420/3-6/22
13-09-2022

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ყველა სახელმწიფო დაწესებულება ვალდებულია დაამუშაოს მოთხოვნილი ინფორმაცია და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უზრუნველყოს მისი მიწოდება საქართველოს პარლამენტის წევრისთვის.

შესაბამისად, მოგმართავთ საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლისა და პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის საფუძველზე შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

1. გთხოვთ, მოგვაწოდოთ 2021 წლის სამინისტროს საქმიანობის ანგარიში

2. გთხოვთ მოგვაწოდოთ 2021 წლის შიდა აუდიტისს მიერ ჩატარებული ანგარიში.

3. გთხოვთ მოგვაწოდოთ 2021 წლიდან სპორტულ ფედერაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვების შესახებ ინფორმაცია.

4. 2021 წლის 1 იანვრიდან დღემდე სამინისტროში დასაქმებულ რამდენ თანაშრომელს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა? რა სახის სანქციები იქნა გამოყენებული და რა სამართლებრივი საფუძვლით?

5. 2021 წლის 1 იანვრიდან დღემდე კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ სსიპ-ებსა და ა(ა)იპ-ბში დასაქმებულ რამდენ თანამშრომელს დაეკისრა დისციპლინური პასუხისმგებლობა? რა სახის სანქციები იქნა გმაოყენებული და რა სამართლებრივი საფუძვლით?

6. 2021 წლის 1 იანვრიდან დღემდე რეორგანიზაციის შედეგად საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს რამდენი თანამშრომელი გათავისუფლდა სამსახურიდან (შესაბამისი საფუძვლების მითითებით).

7. 2021 წლის 1 იანვრიდან დღემდე საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების (კონკრეტული სსიპ-ის და ა(ა)იპ-ების მითითებით) რამდენი

თანამშრომელი იქნა გათავისუფლებული რეორგანიზაციის შედეგად (კონკრეტული საფუძვლის მითითებით).

8. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობისა სამინისტროს და მის დაქვემდებარებაში არსებული სსიპ-ებიდან და ა(ა)იპ-ებიდან გათავისუფლებულ თანამშრომელების მიერ რამდენი სასამართლო დავა წარმოებს სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების წინააღმდეგ? სასამართლო განხილვის შედეგად რამდენი დავა წააგო სამინიტრომ, რამდენი დავა მოიგო სამინისტრომ და არსებული სასამართლო გადაწყვეტილებების საფუძველზე რა ოდენობის ანაზღაურების გადახდა დაეკისრა სამინისტროს.

9. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) 2021 წლის კვლევაში ,,საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში" აღნიშნულია, რომ ,,2021 წელს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრომ IDFI-ის მიერ გაგზავნილი 42-ვე საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა. შედეგად, სამინისტროს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელმა 0% შეადგინა"[1], აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ გვიპასუხოთ სამინიტროს მხრიდან რატომ არ ხდება საჯარო ინფორმაციის გაცემა მაშინ როდესაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით საჯარო დაწესებულება ვალდებულია გასცეს საჯარო ინფორმაცია. გთხოვთ, გვაცნობოთ რა სახის საჯარო ინფორმაცია არ იქნა მიწოდებული ,,ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტისთვის" და რა საფუძვლებით ეთქვათ მათ უარი საჯარო ინფორმაციის გაცემაზე?

10. ხელოვნების მუზეუმის 2021 წლის 19 ივლისის სხდომის ოქმიდან ვიგებთ, რომ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობისა სამინისტრომ ხელოვნების მუზეუმს გადასცა 320 000 ლარი თანამედროვე ქართველი მხატვრების ნახატების შესაძენად. ეროვნულმა გალერეამ შეისყიდა თანამედროვე ხელოვანებისგან ათობით ახალი ნამუშევარი, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია, რა კრიტერიუმებით შეირჩა შესასყიდი ნამუშევრები და თითოეულ ექსპონატში რა ოდენობის თანხა იქნა გადახდილი.

11. საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი დღემდე განახლების რეჟიმშია, შესაბამისად დაინტერესებული პირებისთვის აღნიშნული სამინისტროს შესახებ ინფორმაცია სრულიად მიუწვდომელია, რაც არღვევს საჯარო დაწესებულის საქმიანობის გამჭვირვალობის სტანდარტს. გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია რა ვადაში იგეგმება სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდის განახლება და როდის იქნება საიტი ხელმისაწვდომი დაინტერესებულ პირთათვის.

[1] https://idfi.ge/public/upload/Analysis/Access%20to%20Public%20Information%20in%20Georgia%202021.pdf

12. გთხოვთ გვაცნობოთ 2021 საბიუჯეტო წელს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინიტროს მიერ რა სახის ხარჯების ეკონომიის შედეგად დაიზოგა სახსრები და ჯამურად რამდენი შეადგინა დაზოგილმა თანხებმა.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ლევან ბეჟაშვილი